

თეა ტეტელოშვილი

ერთი ტიპის უმართებულო ტენდენციის გამო პრესის ენაში

თანამედროვე ადამიანს აინტერესებს მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები, ეკონომიკურ-ტექნოლოგიური სიახლეები თუ კულტურული ცხოვრება, მედია კი, ბუნებრივია, ყოველთვის ცდილობს დააკმაყოფილოს მკითხველის ეს ინტერესი მრავალფეროვანი ინფორმაციის გაშუქებით. სტატიების მომზადებისას ჟურნალისტებს, რა თქმა უნდა, უცხოური ორგანიზაციების სახელწოდებების გამოყენებაც უწევთ. წინამდებარე ნაშრომი ეხება ბეჭდური თუ ელექტრონული პრესის ენაში გამოვლენილ ერთ უმართებულო ტენდენციას, კერძოდ, ქართულენოვან ტექსტებში უცხოური სახელწოდებების ლათინურ დაწერილობას. მოძიებული მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ძირითადად შემდეგი ტიპის შემთხვევები გვხვდება:

1. სახელწოდება წარმოდგენილია სრულად და შესაბამისი ბრუნვის ფორმით;
2. სახელწოდება წარმოდგენილია სრულად, მაგრამ მას არ აქვს სათანადო ბრუნვის ფორმა;
3. სახელწოდება წარმოდგენილია აბრევიატურით.

მართალია, ქართულისთვის უკვე დადგენილია წესები როგორც ტრანსლიტერაციასთან, ისე აბრევიატურის დაწერილობასთან დაკავშირებით, მაგრამ უმართებულო შემთხვევების ტიპურმა ხასიათმა გადაგვაწყვეტინა აღნიშნულ საკითხზე ყურადღების კიდევ ერთხელ გამახვილება.

ზემოჩამოთვლილ თითოეულ ტიპს აერთიანებს ის, რომ დასახელებები ლათინური ასოებითაა გადმოცემული. წინამდებარე სტატიაში ყველა შემთხვევისთვის წარმოვადგენთ საილუსტრაციო მასალას*, თუმცა ეთიკური მოსაზრებით წყაროს არ მივუთითებთ.

* მაგალითებში დაცულია ავტორთა ენა და სტილი. არ არის გასწორებული ორთოგრაფიული შეცდომები.

სახელწოდება წარმოდგენილია სრულად და შესაბამისი ბრუნვის ფორმით:

ამერიკის ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური კომენტატორი – ასე მოიხსენიებს ჩარლზ კრაუტჰამერს ბრიტანული გამოცემა **Financial Times-ო**.

...ამ შინაარსის წერილი გამოქვეყნდა **Washington Post-ში** ჩვენი შეხვედრიდან სამი დღის შემდეგ.

Amnesty International-ო მხარს უჭერს უნივერსალური იურისდიქციის განხორციელებას.

Human Rights Watch-ო 1999 წლიდან მოითხოვს მის გასამართლებას.

Publisher's weekly online-ის ცნობით, ელექტრონული წიგნების მომხმარებელი ახლა უფრო მეტ ფულს ხარჯავს ნებისმიერი ტიპის წიგნებში...

ესპანური კომპანია **Belnatur-ის** მიერ შემუშავებული იქნა რეკლამური ფორმულა...

სახელწოდება წარმოდგენილია სრულად, მაგრამ არ აქვს სათანადო ბრუნვის ფორმა:

აკნეს სამკურნალო **Pur skin** სერია შედგება შემდეგი პროდუქტებისგან...

სპეციალური პრემია „**literaris**“ (ავსტრია) აქვს მიღებული წიგნისთვის „საოჯახო არქივი“...

თეატრი **Ad Infinitum**, დიდი ბრიტანეთი, სპექტაკლი „ოდისეა“...

კომპანია **Kolektiv Narobov**, სლოვენია...

Forbes-ის ჟურნალისტი გორდონ კელი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ კომპანია **Microsoft** ცდილობს Windows 8 წარსულში დატოვოს.

იაპონური კომპანია **Aerial Burton** განაგრძობს თავისი უნიკალური 3D-დისფლეის სრულყოფას...

სახელწოდება წარმოდგენილია აბრევიატურით:

...ბევრი დადებითი კომენტარი გაკეთდა **CNN-ზე**...

აქ მიმდინარე ყველა პროცესი (წარმოება, ხარისხის კონტროლი, ხარისხის უზრუნველყოფა და სხვ.) შეესაბამება ევროპული **GMP-სა** და ამერიკული **FDA-ს** სტანდარტების მოთხოვნებს.

აღნიშნული სადაზღვევო პროდუქტების საიმედოობას განაპირობებს ისეთი ძლიერი გადამზღვევი კომპანიები, როგორებიცაა **SCOR, MUNICH...**

ორივე მათგანი **PPV-ზე** ჩხუბობს...

4.1 მეტრი სიგრძის მქონე კომპაქტური **SUV**-კუპეს პროექტი შტუტგარტელემა პეკინის ახლადგახსნილ დიზაინ-სტუდიაში წარმოადგინეს.

IFAD-მ საქართველოს მთავრობის ანტიკორუფციული საქმიანობა მსოფლიო ბანკის მეგა-პროექტის The Worldwide Governance Indicators (WGI) ფარგლებში შეაფასა.

მოყვანილი მაგალითები არა მარტო ხაზს უსვამს მოვლენის ტენდენციურ ხასიათს, არამედ გვიჩვენებს იმ ბუნდოვანებასაც, რომელიც უცხოურენოვანი, ლათინური ასოებით ჩაწერილი სახელწოდებების ამა თუ იმ ბრუნვის ფორმით წარმოდგენას ახლავს თან. უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ **უცხოურენოვანი სახელწოდებების სრულად დაწერის შემთხვევაში ეს დასახელებები უნდა გადმოიცეს ქართული ასოებით, ხოლო ლათინურენოვანი დაწერილობა სურვილისამებრ (არ არის სავალდებულო) შეიძლება მიეთითოს ფრჩხილებში**. რაც შეეხება სხვა ენის ასოების ქართულად გადმოცემას, მნიშვნელობიდან გამომდინარე, საკითხს სხვადასხვა დროს სპეციალურად მიუძღვნა სტატიები და მასთან დაკავშირებით გარკვეული წესები თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების კრებულშიც არის შეტანილი. „ჟურნალისტიკის სტილისტიკური ცნობარის“ (თბ., 2002) ერთ-ერთი დანართი კი კონკრეტულად ლათინური ასოების ქართულად ტრანსლიტერაციას ეხება. შესაბამისად, უცხოური სახელწოდებების ქართულად არდაწერის მიზეზი ტრანსლიტერაციის წესების არარსებობა ნამდვილად არ არის. შესაძლოა, ჟურნალისტიკის ხსენებული დასახელებების ზუსტი გადმოცემის სურვილით მოქმედებენ. ასეთ შემთხვევაში მართებულია, უცხოურენოვანი სიტყვები ფრჩხილებში მიეთითოს ქართული ასოებით ჩაწერილი სახელწოდების შემდეგ. **ოდენ ლათინურად სახელ-**

წოდებების გადმოცემა კი უნდა უფლებბელვეყოთ, როგორც ბუნდოვანებისა და გარკვეული უხერხულობის წარმოშობი.

მესამე ტიპის, ანუ აბრევიატურით წარმოდგენილი სახელწოდებების, შესახებ დამატებით აღვნიშნავთ: რამდენადაც მკითხველისთვის ხშირად საერთოდ გაუგებარია უცხოური ორგანიზაციების აბრევიაციული სახელწოდებების არათუ ქართული, არამედ ინგლისური სრული დასახელებებიც, ამიტომ **(1) სავალდებულოა დადგენილი წესების შესაბამისად აბრევიატურის ქართული ასოებით გადმოტანა და (2) სასურველია სრული დასახელების ქართული შესატყვისის მითითება.** პარალელურად სრული სახელწოდების წარმოდგენა, რა თქმა უნდა, არ დასჭირდება საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობ აბრევიატურებს.

Tea Teteloshvili

One Type of Improper Trend in the Press Language

S u m m a r y

The article refers to the improper trend revealed in the printed as well as electronic press language, in particular, Latin spelling of foreign names in the Georgian texts. Analysis of the obtained material has demonstrated that basically the following types of cases can occur:

1. Name is given fully in relevant case form;
2. Name is given fully, but it does not have the correct case form;
3. Name is abbreviated.

Although the rules have been defined for the transliteration and the abbreviation of the spelling for Georgian, the wrong nature of the typical cases made me focus on the issue again.